



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19250319

თარიღი:31/01/2025

**განკარგულება N9**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის რატი ტალიკიშვილისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 20 იანვრის №12 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1**

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - რატი ტალიკიშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1 000 (ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - იმედა ფრეწუაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

**მუხლი 2**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე: რატი ტალიკიშვილი - 1 000 ( ათასი) ლარი, პ/ნ 01111101029, GE87TB7428545061100105; იმედა ფრეწუაშვილი - 500 (ხუთასი)ლარი, პ/ნ 12002001001, GE13BG0000000582306029.

**მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№ 6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

